




# ჩირიგე

### საქმიანობის შესახებ

სოციალური საწარმო „**ჩირიგე**“ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ თორსაში მოქმედი საწარმოა, რომელიც 2019 წელს შეიქმნა. საქმიანობის დასაწყებად საწყისი ფინანსებისა და მხარდაჭერის მოპოვება დამფუძნებლებმა ევროკავშირისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიისგან შეძლეს. “ჩირიგეს” **სოციალური მისიაა** ინოვაციური მიდგომებით ინკლუზიური სოფლის მოდელის შექმნა, სადაც მხარდაჭერილია მოწყვლადი ჯგუფის წევრთა დასაქმება, რესოციალიზაცია და მიღებული მოგებით ადგილობრივი თემისთვის პრიორიტეტული პრობლემების მოგვარება.

## პროდუქცია

სოციალური საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ნატურალურ პროდუქციასა და ხის ნაკეთობებს. “ჩირიგე” ყოველგვარი დანამატების გარეშე მოყვანილი ხილისაგან ეკოლოგიურად სუფთა ჩირს აწარმოებს. ასორტიმენტშია შემდეგი სახეობები:

- **ნესვი**
- **ფორთოხალი**
- **ქლიავი**
- **ხურმა**
- **ატამი**
- **ვაშლი**

სოციალური საწარმო ასევე ამზადებს ხის სხვადასხვა ნაკეთობას. ჩამონათვალშია:

- **ხის ფანერისგან დამზადებული სასაჩუქრე ყუთები**
- **სხვადასხვა სახის სათამაშოები, სუვენირები და აქსესუარები**



## სოციალური შედეგები

- ამჟამად საწარმო ასაქმებს აფხაზეთიდან დევნილ 3 ქალს
- სოციალური საწარმოდან მიღებული შემოსავლებით ფინანსდება სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო ღონისძიება

+995 558 111 231

gvancakikaleishvili@gmail.com / toliskuri2017.org@gmail.com

https://www.facebook.com/chirige.ge

თორსა, ხობი, საქართველო